სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 30 იანვარი, 2023
ადგილმდებარეობა: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ზვიად კორძაძე, ია გაბედავა, თორნიკე ბაქრაძე, ციცინო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ანი ბუკიას, ბახვა ხარაიშვილის, ანა გამახარიას, ნინო ჩიმაკაძის, ნინო ხიზანიშვილის, ნინო ახუაშვილის, ანა ბარათაშვილის, გიორგი ჭავჭავაძის, გიორგი შალამბერიძის, დავით სიჭინავას და თეონა საანიშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანი ბუკიას, ბახვა ხარაიშვილის, ანა გამახარიას, ნინო ჩიმაკაძის, ნინო ხიზანიშვილის, ნინო ახუაშვილის, ანა ბარათაშვილის, გიორგი ჭავჭავაძის, გიორგი შალამბერიძის, დავით სიჭინავას და თეონა საანიშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) ნიკოლოზ აბულაძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ “საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ აბულაძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ლაშა კეკელიძის, ხათუნა ბერძენიშვილის, გიორგი ფერაძის, მალხაზ თევდორაძის, მიხეილ გოგეშვილის, თამარ როგავას, იზა ბუხრაშვილის და ნოდარ დეისაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, (მომხრე 8: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, ციცინო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, წინააღმდეგი 1: ზვიად კორძაძე) მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლაშა კეკელიძის, ხათუნა ბერძენიშვილის, გიორგი ფერაძის, მალხაზ თევდორაძის, მიხეილ გოგეშვილის, თამარ როგავას, იზა ბუხრაშვილის და ნოდარ დეისაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნინო ახუაშვილის, ნინო ხიზანიშვილის, ხატია გოგოლაძის, გურამ ცაგარეიშვილის, თამარი კვერნაძის, დავით კაკოიშვილის, ეკატერინე თევდორაძის, სალომე აბაშიძის, გრიგოლ ბაკურაძის, მევლუდ ესართიას, ანა პაპუნაშვილის, ზურაბ არსენიშვილის, სოფიო ხაფავას, მაია სუხიტაშვილის, ნინო ქემერტელიძის, რევაზ ხოფერიას, ქრისტინე მაისურაძის, სოფიკო ფუტკარაძის, ნათია კაკალაძის, ნინო ნადირაშვილის, ნინო ლაზარიაშვილის და **2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების** - ნატალი გოგიაშვილის, ვაჟა ჭრელაშვილის, ბაჩი გაბაიძის, ნანა კალანდაძის, ნინო ბერიკაშვილის, მაკა ოდოშაშვილის, თიკო ახვლედიანის, სალომე ჭანიას, მარიამ სპასოვის, გიორგი კალანდაძის, გურამ რამიშვილის და თამთა კუთხაშვილის განცხადებებს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2023 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: "საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 213 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა" ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ"

ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო ახუაშვილის, ნინო ხიზანიშვილის, ხატია გოგოლაძის, გურამ ცაგარეიშვილის, თამარი კვერნაძის, დავით კაკოიშვილის, ეკატერინე თევდორაძის, სალომე აბაშიძის, გრიგოლ ბაკურაძის, მევლუდ ესართიას, ანა პაპუნაშვილის, ზურაბ არსენიშვილის, სოფიო ხაფავას, მაია სუხიტაშვილის, ნინო ქემერტელიძის, რევაზ ხოფერიას, ქრისტინე მაისურაძის, სოფიკო ფუტკარაძის, ნათია კაკალაძის, ნინო ნადირაშვილის, ნინო ლაზარიაშვილის და 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების - ნატალი გოგიაშვილის, ვაჟა ჭრელაშვილის, ბაჩი გაბაიძის, ნანა კალანდაძის, ნინო ბერიკაშვილის, მაკა ოდოშაშვილის, თიკო ახვლედიანის, სალომე ჭანიას, მარიამ სპასოვის, გიორგი კალანდაძის, გურამ რამიშვილის და თამთა კუთხაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის შემოსავლების ძირითად წყაროს საწევრო შენატანები წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და ასოციაციის ყველა მიმართულების შეუფერხებელი საქმიანობისთვის. ამდენად, მიზანშეწონილია 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საკითხზე მსჯელობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე, 2023 წლის 16 თებერვალს დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება.

(ბ) 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინება, მათ მიმართ არსებული დავალიანების შესახებ, ასოციაციის ბაზაში დაცულ მობილურის ნომრებზე.

საკითხი 5. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის აკრედიტაციის განაცხადის განხილვა.

წევრები გაეცნენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის განცხადებას საგანმანათლებლო ღონისძიების აკრედიტაციის შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განცხადება თანდართული მასალებით აკმაყოფილებდა აკრედიტაციის წესით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის განცხადება და წარმოდგენილ საგანმანათლებლო ღონისძიებას მიენიჭოს აკრედიტაცია.

საკითხი 6. ადვოკატთა სოციალური დახმარების გაცემის წესში შესატანი ცვლილებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა სოციალური დახმარების გაცემის წესში შესატან ცვლილებებს, რომლის თანახმადაც ცვლილება უნდა შევიდეს ადვოკატთა სოციალური დახმარების მოთხოვნისათვის წარმოსადგენ დოკუმენტებში და ასევე, დაზუსტება სარიტუალო ხარჯები.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ცვლილებებს და განხილვის შედეგად:

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება ადვოკატთა სოციალური დახმარების გაცემის წესში, სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 7. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციის კანდიდატურის წარდგინების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სსიპ „იურიდიული დახმარების“ საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციის კვოტით წარდგენილია 3 წევრი, რომელთაგან ერთ-ერთ წევრს - პავლე აბაიაძეს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა. შესაბამისად, მიზანშეწონილია გამოცხადდეს ღია კონკურსი, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრობის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26[1] მუხლისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და 23[2] მუხლების შესაბამისად, გამოცხადდეს ღია

კონკურსი, იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 წევრის შესარჩევად

(ბ) იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 წევრის შესარჩევი კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gba.ge

(გ) ღია კონკურსში განაცხადების მიღება გაგრძელდეს 2023 წლის 9 თებერვლის, 17:00 საათამდე.

საკითხი 8. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ალი ბადიროვის, ვენერა სუქნიძის და სალომე ღოღობერიძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ალი ბადიროვის, ვენერა სუქნიძის და სალომე ღოღობერიძის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 9. საწევროს გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებებს. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა გადაიდოს და განხილულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა გადაიდოს იმ

სხდომაზე, სადაც განხილულ იქნება ადმინისტრაციული წარმოება და განისაზღვრება შესაბამისი გადახდის ვადები.

საკითხი 10. თამთა მურადაშვილის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ თამთა მურადაშვილის განცხადებებს, რომლითაც იგი საბჭოს მიმართავდა კითხვით: სავალდებულო იყო თუ არა პატიმრობაში მყოფი ადვოკატისთვის სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში კრედიტების დაგროვება და საწევროს გადახდა.

წევრებმა განაცხადეს, რომ ვინაიდან 2022 წლის სავალდებულო კრედიტების დაგროვებისგან გათავისუფლდა ყველა მოქმედი წევრი, წარმოდგენილი შეკითხვის პირველი ნაწილი უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან. რაც შეეხება საწევროს გადახდის ვალდებულებას, პატიმრობაში მყოფი მოქმედი ადვოკატის მიერ. ადვოკატ თამთა მურადაშვილის განცხადებას თან ერთვოდა ორდერი, რომლითაც უფლებამოსილია დაიცვას ადვოკატ ნიკა გვარამიას ინტერესები. სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილი იყო პატიმრობაში მყოფი ადვოკატის განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში სავალდებულოდ დასაგროვებელი კრედიტ-საათების გათავისუფლება და საწევრო დავალიანების გადავადება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: პატიმრობაში მყოფ ადვოკატ - ნიკა გვარამიას, გადაუვადდეს საწევროს გადახდის ვალდებულება პატიმრობაში ყოფნის პერიოდში.

საკითხი 11. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ანი ომანაძის განცხადება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საფასურის გადავადების შესახებ.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ გართულებული ფინანსური მდგომარეობის გამო, ამ ეტაპზე ვერ ახერხებდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საფასურის გადახდას თეორიული კურსის დასრულებამდე და ითხოვდა დარჩენილი საფასურის გადავადებას სტაჟირების დასრულებამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანი ომანაძის განცხადება და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დარჩენილი საფასურის გადახდა გადაუვადდეს სტაჟირების დასრულებამდე.

(ბ) მარიამ დუმბაძის განცხადებას სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ დუმბაძის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(გ) ნაირა გიგიტაშვილის და ჯემალ კოპალიანის განცხადებების განხილვა დამატებითი სპეციალიზაციის მინიჭების თაობაზე.

ნაირა გიგიტაშვილის და ჯემალ კოპალიანის განცხადებებს თან ერთვოდა სერტიფიკატები, რომლის თანახმადაც:

ნარია გიგიტაშვილს 2008 წლის 1-ლ ივნისს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავლილი აქვს სპეციალური მომზადება პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. ასევე, 2015 წლის 6 ნოემბერს და 2020 წლის 20 სექტემბერს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავლილი აქვს არასრულწლოვანთა ურთიერთობის მეთოდიკა და ბავშვის უფლებათა სფეროში სპეციალური გადამზადება.

ხოლო, ჯემალ კოპალიანს 2017 წლის 28 ივლისს გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, მათ შორის, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

განმცხადებლები ითხოვდნენ, დამატებითი სპეციალიზაციის მინიჭებას, როგორც ადვოკატისთვის, წარმოდგენილი სერტიფიკატების საფუძველზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლებით დადგენილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაცია. აღნიშნული კოდექსის, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არასრულწლოვანის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, რომელიც ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი.

აქედან გამომდინარე, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დღევანდელ სხდომაზე იმსჯელოს ნაირა გიგიტაშვილის და ჯემალ კოპალიანის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, მათთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მათ არ აქვს წარმოდგენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:
(1) არ დაკმაყოფილდეს ნაირა გიგიტაშვილის განცხადება.

(2) არ დაკმაყოფილდეს ჯემალ კოპალიანის განცხადება.

(3) განმცხადებლებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(დ) ირაკლი ზაქარიაძის განცხადების განხილვა წევრობის აღდგენის შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს 7 დეკემბრის სხდომაზე განხილულ იქნა ირაკლი ზაქარიაძის განცხადება, ხელახლა გაწევრიანების მოთხოვნით. ამავე გადაწყვეტილებით ირაკლი ზაქარიაძეს დაევალა ნასამართლობის შესახებ ცნობის წარმოდგენა, რის შემდგომაც განახლდებოდა წარმოდგენილი განცხადების განხილვა.

ირაკლი ზაქარიაძემ წარმოადგინა ნასამართლობის შესახებ ცნობა, მაგრამ არ ჰქონდა გადახდილი და წარმოდგენილი საწევრო დავალიანების გადახდის ქვითარი.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი განცხადების განხილვა უნდა განახლდეს, მაშინ, როცა განმცხადებელი სრულად წარმოადგენს ხელახლა გაწევრიანებისთვის საჭირო დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(1) ირაკლი ზაქარიაძის წევრობის აღდგენის (ხელახლა გაწევრიანების) განცხადების განხილვა გადაიდოს შემდეგ სხდომაზე და განმცხადებელს დაევალოს საწევრო დავალიანების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.
(2) განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ე) ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის ცვლილების თაობაზე საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასური ამჟამად შეადგენს 190 (ას ოთხმოცდაათი) ლარს, რომელიც დადგენილია აღმასრულებელი საბჭოს 2017 წლის 10 იანვარს. ამასთან, გაზრდილია გამოცდის ორგანიზების როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ისე ტესტების შედგენა/კორექტირების ხარჯები. შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიზარდოს საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასური 250 (ორას ორმოცდაათი) ლარამდე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2023 წლიდან, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასური განისაზღვროს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

(ვ) მაია პაიჭაძის განცხადების განხილვა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მაია პაიჭაძემ 2022 წლის 30 ივნისს ადვოკატთა ასოციაციის საკონტაქტო მეილზე: info@gba.ge, გამოაგზავნა შეტყობინება, რის საფუძველზეც ითხოვდა უფლებამოსილების შეჩერებას, პირადი განცხადების საფუძველზე. მაია პაიჭაძის ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილი შეტყობინება არ დარეგისტრირდა და რეგისტრატორის მიერ მოთხოვნილ იქნა გამოგზავნილიყო ხელმოწერილი განცხადება.

მაია პაიჭაძის განცხადებით, ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი ხელმოწერილი განცხადება აღმოაჩინა გვიან, რის გამოც, მან ხელმოწერილი განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ დამატებით გამოაგზავნა 2023 წლის 26 იანვარს და ითხოვა, პირადი განცხადებით წევრობის შეჩერება მომართულად ჩათვლოდა 2022 წლის 30 ივნისი.

წევრებმა განაცხადეს, რომ სახეზე იყო ტექნიკური შეცდომა, რის გამოც მაია პაიჭაძის 2023 წლის 26 იანვრის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და წევრობისს შეჩერების შესახებ განცხადებით მომართულად უნდა ჩაეთვალოს 2022 წლის 30 ივნისი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს მაია პაიჭაძის განცხადება.

(2) მაია პაიჭაძეს წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებით მომართვად ჩაითვალოს 2022 წლის 30 ივნისი.

(3) მიღებული გადაწყვეტილების, ადვოკატთა ერთიან რეესტრში, ასახვა დაევალოს აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე